საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 479 2018 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 30-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30	ავტოგასამართ, აირგასამართ, აირსავსებ საკომპრესორო სადგურებში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვასთან დაკავშირებული მომსახურება		ერთი ლუქისათვის – 12 ლარი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**